საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

არშუშა

არშუშა, ქართლის ერისმთავარი VII ს. ბოლოს. მოხსენიებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ შესულ „დიდ ერისთავთა“ სიაში კურაპალატის ტიტულით და აგრეთვე აბასთუმნის ეკლესიის ჯვრის კვარცხლბეკის წარწერაში ბიზანტ. იმპ. იუსტინიანე II-ის მმართველობის პირველ პერიოდში (685–695) „ქართველთა ერისთავად“, „მამფლისა“ და „პატრიკიოსის“ ტიტულებით. ა-ს ბიზანტ. ტიტულები მოწმობენ, რომ ქართლი ამ პერიოდში ბიზანტ. პოლიტ. გავლენის ქვეშ ყოფილა, რაც 689 ბიზანტია-სახალიფოს ზავის პირობებიდან უნდა გამომდინარეობდეს.

წყარო:მოქცევაჲ ქართლისაჲ, წგ.: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წგ. ქართული ლაპიდარული წარწერების კორპუსი,[წგ.] 1, ნ. შოშიაშვილის გამოც.,თბ.,1980.

ა. ბოგვერაძე